

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა თორაძე

არჩევნების როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ოთარ ბაღათურია

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება 2020 წლის ----- ივლისს, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,
საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო
საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ლელა კოჭლამაზაშვილი/

Abstract

The purpose of the dissertation "The Role of Elections in the Development of Civil Society" is to identify issues of civil society's involvement in the electoral processes and the introduction of a Compulsory Voting System. The paper offers a vision on how important and relevant civil society's maximal involvement is in country's government elections. The thesis presents an analysis of the examples of electoral systems in different countries of the world and the results of the studies of the process development. As a result of the research, and by discussing various thoughts and detailed introduction of the transitional processes, a conclusion is drawn on the expediency of introducing Compulsory Voting System in Georgia. The paper presents the opinion of a certain part of the Georgian civil society on the introduction of Compulsory Voting System and which forms of sanctions would be acceptable to impose on non-voters. In-depth study of these and other related issues and various research papers, the dissertation presents recommendations that will make it possible for interested parties to obtain information on the above-mentioned issues.

The structure of the paper. The dissertation is presented on 104 pages and includes an introduction, a review of the literature, three chapters, a conclusion, and a bibliography. The introduction briefly describes the need for a highly developed civil society and its institutions for the existence of a democratic system. The thesis also presents the issue of scientific novelty of the paper and the reasons to why voting/not-voting in elections in Georgia is such a vital topic today, as well as falsification of election results and introduction of a Compulsory Voting System in Georgia. In addition, the content describes the research methods used in the paper. The methodological and theoretical basis of the research are the legal and normative acts, as well as the results of international and local studies. Systematic analysis and synthesis, historical and comparative research methods are also used in the dissertation. The paper analyzes the problem in the field of Georgia's electoral system and predicts future developments and directions for problem solving. Conclusions have been drawn from the use of qualitative and quantitative research methods and recommendations have been developed on electoral reform issues. Also, the content includes the research subject and object and the issue of practical importance and theoretical value of the paper.

The literature review discusses the role of political parties and non-governmental organizations in the election processes, the formation of civil society and its involvement in elections. All above-mentioned is presented by discussion of the publications, textbooks and articles published by various scientists, researchers, professors, and field specialists of the electoral systems, as well as the reviews of the conferences and seminars they have attended.

The first chapter of the dissertation discusses the introduction of mandatory participation in elections as a principle of citizens' participation in public processes. Also, in the first subsection of the first chapter, there are examples of the influence of the institutionalized civil society on the election process and discussions on the role that non-governmental organizations play in the election process. One of the subsections of the first chapter discusses the duties and responsibilities of a person, and a close connection of a person and a society in details.

The second chapter of the paper describes elections' rigging methods and actions around the world, which are aimed at disrupting the order and the process of the elections, the receipt and filling of ballot papers, the counting of election results, as well as the violation of the voter registration process. The first subsection explains

existing methods of election rigging, such as election carousels, "dead souls," ballot annulments, etc. The second chapter describes the various methods used against election fraud, which have proven to be effective in many countries around the world.

The third chapter discusses the involvement of civil society in the election process. The first subsection describes the role and responsibilities of civil society, such as the observance of legal order and common rules, as well as the democratic civil society's role as supporters of the institutional processes of elections. Next subsection of the third chapter presents the results of various surveys and questionnaires related to the Compulsory Voting System. At the end of the chapter, you will see the results of a quantitative study conducted by the author of the thesis. The subject of this study was the involvement of civil society in the electoral process and the introduction of a Compulsory Voting System in Georgia. The research area included citizens from different cities of Georgia.

At the end of the dissertation, we can see detailed summary of the conducted study, various ideas, detailed familiarization with the transition processes, conclusion of the interviews with field experts on the expediency of introduction of a Compulsory Voting System in Georgia. The paper presents the recommendations developed as a result of the research on the introduction of a Compulsory Voting System in Georgia.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

დემოკრატიული სისტემის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის მაღალგანვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების არსებობა. სამოქალაქო საზოგადოება განაპირობებს დემოკრატიის განვითარებას სახელმწიფოში, რომელსაც, თავის მხრივ, ვერ ვუწოდებთ დემოკრატიულს ასეთი საზოგადოების არარსებობის შემთხვევაში. საუბარია სამოქალაქო საზოგადოების საერთო აქტივობაზე, რომელშიც ადამიანთა ფართო წრეებია ჩართული, მაგრამ სადაც ამავდროულად ყველა ადამიანი არის მოქალაქე, აქვს თავისი უფლებები და აღჭურვილია მოქალაქეობრივი მოვალეობებით. ამის გარდა, მათთვის არსებობს განსაზღვრული მორალური ნორმები, პირადი ღირსება და, რა თქმა უნდა, პატივს სცემენ სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებას.

მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი ხასიათდება არა მხოლოდ მისი უფლებებითა და თავისუფლებით, არამედ მოვალეობებითაც. ეს მოვალეობები ურთიერთობების მრავალ სფეროებს შეეხება, რომელშიც პიროვნება მთავარ მოქმედ პირად გვევლინება.

მოვალეობები თავისი ბუნებით სხვადასხვა ხასიათის შეიძლება იყოს. ზოგიერთი მათგანი გამომდინარეობს ადამიანსა და სახელმწიფოს შო-

რის არსებული სამართლებრივი კავშირიდან და პიროვნების კონკრეტული საზოგადოების წევრობიდან. მოვალეობები სხვადასხვა ფორმით გვევლინება, მათ შორის არასამართლებრივი ფორმითაც. ამგვარად, სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრების მოვალეობები განსაზღვრულია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში და მათი უმრავლესობა სამართლებრივი ნორმებით დგინდება.

პიროვნების – როგორც ამომრჩევლის, დეპუტატის, სხვადასხვა სახელისუფლებო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრის – მოვალეობების განსაზღვრა გულისხმობს ამ ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგულირებას. კონსტიტუციური ნორმები ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობების განსაზღვრაში ძირითად როლს ასრულებს. ის ადგენს ადამიანისა და მოქალაქის ძირითად მოვალეობებს, რომლებიც:

1) ზოგადი ხასიათისაა;

2) თანაბრად ვრცელდება ყოველ მოქალაქეზე მიუხედავად მისი სტატუსისა.

აქ შედის ის მოვალეობები, რომლებიც განაპირობებს თვით სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას და აქედან გამომდინარე საზოგადოების სასიცოცხლო ფუნქციებს.

სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოვალეობებში ჩამოყალიბებულია ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნები: პიროვნების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე; მოქალაქისა — სახელმწიფოს წინაშე; მოქალაქის სათანადო დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი და საერთო ინტერესების მიმართ და მისი აქტიური ჩართვა ამ ინტერესების დაცვის პროცესში. მოქალაქეობის არსი პიროვნებისა და სახელმწიფოს ორმხრივი უფლება-მოვალეობების არსებობაშია. ამრიგად, ძირითადი მოვალეობები, ეს კონსტიტუციით გათვალისწინებული და სამართლებრივი პასუხისმგებლობით დაცული მოთხოვნებია, რომლის შესრულებას ველით პიროვნებისა და მოქალაქისგან. შესაბამისად, ამ პროცესებში მისი მონაწილეობა აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი პრინციპების რეალიზაცია.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის, მოქალაქის მხრიდან ასეთი უფლების სახით განვიხილავთ არჩევნებში მონაწილეობას, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან არჩევნებში თავისუფალი მონაწილეობის უფლების რეალიზაციის გარანტირებას. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არის მოქალაქის უფლება და არა მოვალეობა. მოქალაქეს აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს სურვილისამებრ და მას შეუძლია ეს უფლება ან გამოიყენოს, ან არა. ვინაიდან ამ ორს შორის არჩევანის გაკეთების უფლება მოქალაქეს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.

თემის აქტუალობა. საქართველოში ყოველი არჩევნების ჩატარების შემდეგ, როგორც წესი, იწყება ლაპარაკი გამოუყენებელი ბიულეტენების ყუთებში ჩაყრაზე, „საარჩევნო კარუსელებზე“ და სხვა უამრავ კანონდარღვევაზე. არჩევნების თემით გამოწვეული არაერთი დავის გამო, საზოგადოებაში უფრო და უფრო მატულობს ამ საკითხის მიმართ ანტიპათია. საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი არჩევნებისადმი იქიდან გამომდინარე, რომ აქამდე ჩატარებულმა ყველა დონის არჩევნებმა იმდენი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომ ხალხის დიდი ნაწილი თავის უსუსურობაში დარწმუნებული, საერთოდ თავს არიდებს ხმის მიცემას. ამომრჩევლის მხრიდან არჩევნების უგულებელყოფა, თავის მხრივ, აუცილებლად ერთ-ერთი რომელიმე პარტიის სასარგებლოდ მოქმედებს, რაც დემოკრატიულ არჩევნებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებაა არჩევნებისადმი დამოკიდებულებაში. ტოტალიტარული სისტემის დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში დემოკრატიული სისტემით არჩევნების ჩატარების მწირი გამოცდილების გამო, არჩევნებისადმი დადებითი განწყობის შექმნა ჯერ ვერ მოხერხდა. რთულია დარწმუნებით ითქვას, თუ რაში მდგომარეობს საზოგადოების პრობლემა. ეს შეიძლება იყოს უნდობლობა არჩევნების სამართლიანად ჩატარებისა ან არჩევნებში გამარჯვებულის მიმართ.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ თუ ქვეყანაში არჩევნებში მონაწი-

ლეობა სავალდებულო ხდება, ეს საგრძნობლად ზრდის მოსახლეობის ნდობას არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ცვლილება იწვევს ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდას, ცარიელი ბიულეტების რაოდენობის შემცირებას და შესაბამისად ქვეყნის მოსახლეობის ნახევრის ან უფრო ნაკლების ნაცვლად, არჩევნებზე უმრავლესობის გამოცხადებას და საკუთარი ნების გამოვლენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს არჩევნებში მონაწილეობის ერთგვარი კულტურისა და ჩვევის ფორმირებას.

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა ათეულობით ქვეყანაშია მიღებული. ესენია: ავსტრია (სამ რეგიონში), არგენტინა, ავსტრალია, აშშ (ჯორჯიის შტატი), ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, კონგო, კოსტა რიკა, ეკვატორი, ეგვიპტე, საფრანგეთი (მხოლოდ სენატი), გაბონი, საბერძნეთი, ჰონდურასი, ლიბანი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნაურუ, პანამა, პარაგვაი, პერუ, სინგაპური, შვეიცარია (ერთ კანტონში), ტაილანდი, თურქეთი და ურუგვაი.

ზემოაღნიშნული ქვეყნების მაგალითების კრიტიკული ანალიზით და ამ პროცესების ისტორიული განვითარების სათანადო შესწავლისა და კვლევის შედეგად, სხვადასხვა აზრის განხილვით და გარდამავალი პროცესების დეტალური გაცნობით, შესაძლებელია სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებულ ახალ ან/და კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მისვლა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავდა შეესწავლა მსოფლიოს საარჩევნო სისტემა, არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის საკითხი და საარჩევნო მანიპულაციების მეთოდები. კვლევის ამოცანის მიხედვით განისაზღვრა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საკითხი საარჩევნო პროცესებში, ჩატარდა რა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემების მაგალითებისა და პროცესების განვითარების ანალიზი, რათა კვლევის შედეგად, სხვადასხვა აზრების განხილვისა და გარდამავალი პროცესების დეტალური გაცნობის მეშვეობით, გამოტანილ ყოფილიყო დასკვნა საქართველოში სავალდებულო საარჩევნო

სისტემის შემოღების მიზანშეწონილობაზე. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მისვლა იმასთან დაკავშირებით, თუ რა აზრის არის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილი სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღებაზე და დასაწესებელი პასუხისმგებლობის რომელი გარკვეული ფორმის შერჩევა იქნება მისაღები მოქალაქის არჩევნებზე არასაკაპტო მიზეზით არგამოცხადების შემთხვევაში. ეს საკითხები სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და სხვადასხვა კვლევის საფუძველზე შემუშავდა ისეთი რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელი გახდება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება.

კვლევის საგანი და ობიექტი. აღნიშნული კვლევის საგანს წარმოადგენს საარჩევნო სისტემა, ხოლო კვლევის ობიექტს — საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა და სამოქალაქო საზოგადოება.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგია ფართო ცნებაა და მის ფარგლებში შესაძლოა ერთი ან რამდენიმე მეთოდი მოიაზრებოდეს. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კვლევის დროს, აღნიშნულ სადოქტორო ნაშრომში კვლევის გარკვეული მეთოდები იქნა გამოყენებული. კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძვლად მოყვანილია სამართლებრივი და ნორმატიული აქტები, ისევე როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების შედეგები.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა გამოკითხვის კვლევის მეთოდი, გრაფიკული მეთოდი და შედარებითი ანალიზი (თავი III). ამის გარდა, გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური და მეორადი სოციოლოგიური კვლევა (I, II, III თავი) და საექსპერტო შეფასება (თავი III).

საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, ისევე როგორც ისტორიული და შედარებითი კვლევის მეთოდების ხელშეწყობით, გაანალიზდა საქართველოს საარჩევნო სისტემის სფეროში არსებული პრობლემები და მოხდა მათი გადაჭრის გზების სამომავლო განვითარებისა და მიმართულებების პროგნოზირება. თვისებრივი და რაოდენობრივი

კვლევის მეთოდების გამოყენებით გაკეთდა დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები საარჩევნო სისტემის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ნაშრომის შექმნისთვის აუცილებელი კვლევის მეთოდები და მათი გამოყენების გზები შეირჩა სახელმძღვანელოს „კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში“ გამოყენებით, სადაც დეტალურად არის აღწერილი და ახსნილი კვლევა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო მოვალეობების შესრულების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტად ქვეყნის მმართველობის არჩევნებში მონაწილეობა გვევლინება. არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნებში მონაწილეობის მიღება სავალდებულო უნდა იყოს, რადგანაც საზოგადოების თითოეულმა მოქალაქემ თვითონ აირჩიოს თავისი ქვეყნისა და შესაბამისად საკუთარი მომავალიც. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში ადამიანი პასუხისმგებელია იმაზე, რაც აირჩია, იმ პოლიტიკურ რეჟიმზე, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება.

2016 წელს საქართველოს პარლამენტში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი საკანონმდებლო წინადადებით შევიდა, რომლის თანახმადაც საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის მიღება სავალდებულო უნდა გახდეს. ამ ინიციატივას სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ამ საკითხში ყველაზე აქტიურად საქართველოს „უფლებადამცველთა გაერთიანება“ (Union of Human Rights Defenders) არის ჩართული, რომელიც იმედოვნებს, რომ ამ წინადადებას ადრე თუ გვიან სათანადო გამოხმაურება მოჰყვება.


იმ შემთხვევაში, თუ ეს წინადადება მისაღები იქნება პარლამენტისთვის, შესაბამისად, უნდა ველოდოთ საარჩევნო კანონსა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა წელს ჩატარებულ არჩევნებში

მოქალაქეთა აქტივობის პროცენტულობა გამოიყურება შემდეგნაირად:

1. 2004 - 64%
2. 2006 - 48%
3. 2008 - 53%
4. 2010 - 49%
5. 2012 - 60%
6. 2014 - 43%

ბოლოდროინდელი არჩევნების მაგალითი რომ ავიღოთ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურში გამოცხადებული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 49% და 49.36%, ხოლო 2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მოსახლეობის 45%-მა მიიღო მონაწილეობა.



ნახ. 1. მოქალაქეთა აქტივობა

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნებში აქტივობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, აღნიშნული პრობლემა ყურადღებას მოითხოვს.

არჩევნებისადმი ამომრჩეველთა გულგრილობას და მასში მონაწილეობისათვის მასობრივად თავის არიდებას „აბსენტეიზმი“ ეწოდება და სწორედ ამ მიდგომას ვხედავთ საქართველოში. ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, „უფლებადამცველთა გაერთიანება“ გამოვიდა ინიცი-

ატივით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ნაცვლად „უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“ დაფიქსირდეს „ამომრჩეველთა ნების გამოვლენა სავალდებულოა“. გარდა ამისა, მათი ინიციატივით, „საარჩევნო კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სხვა საკანონმდებლო აქტებში აუცილებლად უნდა შევიდეს რიგი ცვლილებები.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის ნიკოლოზ მჭავანაძის განცხადების თანახმად, „კანონმდებლობაში ასევე უნდა დაფიქსირდეს ის სანქციები, რომელიც დაწესდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც არჩევნებზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებიან“.

ამომრჩეველთათვის არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის პროცესებში დეტალურად გასარკვევად, მიზანშეწონილია ეს საკითხები დიდი ყურედლებით იქნეს შესწავლილი, რათა სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით და სათანადო კვლევების ჩატარებით, შესაძლებელი გახდეს დასკვნის გამოტანა, რომელიც შეძლებისდაგვარად დამაკმაყოფილებელი იქნება ყველა მხარისთვის. საბოლოო ანგარიშით წინამდებარე შრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს: არსებული პრაგმატული, ღირებულებითი, პოლიტიკური და მეცნიერული მოსაზრებების შეჯამება; განსახილველად წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მსოფლიოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, პრაქტიკული პროცედურული რეკომენდაციები.

ჰიპოთეზა. საქართველოში, არჩევნების ლეგიტიმიზაციის გაზრდის მიზნით, სასურველია სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღება.

თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა, აპრობაცია. საქართველოში სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების საკითხის სიღრმისეული კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. ყოველ შემთხვევაში, ამ თემის გარშემო სადისერტაციო ნაშრომი ან სიღრმისეული კვლევა ვერ იქნა მოძიებული.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ის

კვლევები, რომელიც ჩატარდა სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების საკითხთან დაკავშირებით. ამ კვლევების შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სავალდებულო საარჩევნო სისტემის თემით დაინტერესებული ყველა პირისთვის. ეს შეიძლება იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, სხვადასხვა პოლიტიკური ან არასამთავრობო ორგანიზაციები, ან თუნდაც სამოქალაქო საზოგადოების ის წარმომადგენლები, ვისი ინტერესის სფეროშიც შედის ეს საკითხი. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის მეშვეობით მათ შეუძლიათ გაეცნონ სხვა ქვეყნებში სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების ისტორიას, იქ არსებულ სავალდებულო საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების მეთოდებს, ამ საკითხზე ჩატარებულ უამრავ კვლევას, სხვადასხვა ქვეყნებში არჩევნებზე არგამოცხადების შემთხვევაში დასაკისრებელი პასუხისმგებლობის მაგალითებს, არჩევნების გაყალბებისა და გაყალბებასთან ბრძოლის მეთოდებს, სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ერთ ნაწილში ჩატარებული კვლევის შედეგებს და ა. შ.

წარმოდგენილი ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმ რეკომენდაციებში, რომელთა რეალიზაციის შედეგად შესაძლოა გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე და დემოკრატიული სისტემის მდგრადობა.

კვლევის შედეგები აპრობირებულია კოლოქვიუმებსა და პუბლიკაციებში:

- „არჩევნების გაყალბების სქემები“;
- „ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო საზოგადოების გავლენა საარჩევნო პროცესზე“;
- „საარჩევნო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობის პრინციპი და მაგალითები“;
- „არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის სისტემის შემოღება საქართველოში“;
- „სოციუმის რეაგირება არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის პრინციპზე“;

1. „არჩევნების გაყალბების გზები“ .

გარდა ამისა შემოთავაზებული რეკომენდაციები აპრობირებულია რიგ განვითარებად, გარდამავალ და დემოკრატიულ ქვეყნებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 104 გვერდზე და მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს, დასკვნას და ბიბლიოგრაფიას.

პირველი თავი – „არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის სისტემის დანერგვა, როგორც მოქალაქეთა საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის პრინციპი“ – მოიცავს ოთხ ქვეთავს.

- 1.1. ადამიანის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის საკითხი.
- 1.2. ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მოვალეობა არჩევნებში მონაწილეობის კუთხით.
- 1.3. ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო საზოგადოების არსი.
- 1.4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესებში.

პირველ ქვეთავში, როგორც სათაურის დასახელებიდან ჩანს, საუბარია ადამიანის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის საკითხებზე. აღნიშნულია, რომ მოვალეობა ადამიანის ზნეობრივი ცნობიერების მაღალ დონესთან ასოცირებული კონცეფციაა, როდესაც მის ქცევას განაპირობებს მორალური სამართლის პატივისცემა.

მოვალეობის გრძნობა ჩნდება სოციალური საქმიანობის დროს, როდესაც ადამიანი აცნობიერებს თავის კავშირს განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფთან, ერთან და კულტურასთან. იქიდან გამომდინარე, თუ რომელ ჯგუფთან და პროფესიასთან ათანაბრებს ადამიანი საკუთარ თავს და ასევე რომელია მისთვის მიუღებელი, დამოკიდებულია მისი კონკრეტული ქცევა. საკუთარი ჯგუფის მოთხოვნების შესრულებისას, პიროვნება სოციალურად პასუხისმგებლიანად იქცევა.

ეს მოთხოვნები საკმაოდ კონკრეტულიც შეიძლება იყოს (გადასახადების გადახდა, მომხმარებელთა, დამკვეთთა, ბიზნეს პარტნიორების,

კოლეგების უფლებების პატივისცემა) და შეადგენდეს პროფესიული ეთიკის კოდებსა და ნორმებს, ან შეიძლება უფრო აბსტრაქტული იყოს (მაგ.: „იყავი ადამიანი“, „არ მოიპარო“, „არ მოკლა“ და ა.შ.) და მთელი კაცობრიობის ზნეობრივ ნორმებს შეადგენდეს.

მოვალეობის თანამედროვე გაგება უკავშირდება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა და საკუთარი თავის, საზოგადოებისა და მთლიანად კაცობრიობის, საკუთარი პროფესიის, ბუნებისა და მომავალი თაობების მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდას. პასუხისმგებლობა კი უფრო კონკრეტული ცნებაა, ვიდრე მოვალეობა: მასში ივარაუდება ზუსტი ცოდნა, რაზე და ვის წინაშე ხარ პასუხისმგებელი. მოვალეობა და პასუხისმგებლობა - ორი ერთმანეთის შემავსებელი ცნებაა, რომლებიც გამოიხატება საკუთარ თავზე ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ეთიკის არსის გამოხატულებაა.

მეთვრამეტე საუკუნის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, საკუთარ თავზე აღებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი აღიარებულია ცივილიზებული წესრიგის ობიექტურ საფუძვლად.

ეს პრინციპი ფუნდამენტურად ითვლება. ინტერპერსონალურ ურთიერთობებში აღნიშნული პრინციპის რეალიზება არის ადამიანის მორალური თავისუფლებისა და სუვერენიტეტის ყველაზე ძლიერი მტკიცებულება.

ამავე ქვეთავში მოცემულია ის მუხლები, რომლებიც ადამიანის მოვალეობებს განსაზღვრავს.

მეორე ქვეთავი კი ეხება საზოგადოების წევრის მოვალეობას არჩევნებში მონაწილეობის კუთხით. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ადამიანი და საზოგადოება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ცალ-ცალკე თითოეულის ქმედება აისახება ერთმანეთზე.

სავალდებულო საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყნებში მიჩნეულია, რომ არჩევნებში გათვითცნობიერებული მონაწილეობა არა მხოლოდ უფლება, არამედ თვრამეტე წელს მიღწეული ყოველი ადამიანის სამოქალაქო ვალიცაა. სავალდებულო მონაწილეობის კონცეფციას ბევრი მომხრე ჰყავს.

მათი აზრით, ამომრჩეველი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს არჩევნებზე და გააკეთოს თავისი არჩევანი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ადამიანის მიერ არჩევანზე უარის თქმაც თავისებური არჩევანის გაკეთებაა, მაგრამ ამ დროს მის მაგივრად პოლიტიკურ არჩევანს სხვა გააკეთებს.

ამავე ქვეთავში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ყველა დონეზე არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის მნიშვნელობა უზარმაზარია და არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ როგორც ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ძირითადად ხელისუფლებაზე დამოკიდებული ჩვენი, ჩვეულებრივი მოქალაქეების, ცხოვრება. ცხოვრება, რომელიც ეფუძნება კანონით რეგულირებად სამართლებრივ ურთიერთობებს.

ყურადღება გამახვილებულია არჩევანის უფლებაზე, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტურია ადამიანის უფლებებიდან. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლში ნათქვამია: „ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით“.

ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეობა მიიჩნევა მოქალაქის თავისუფალ არჩევნად, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება იმ ფაქტის სრული იგნორირება, რომ ზოგიერთი მათგანი თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდაზე უარს აცხადებს.

მეორე ქვეთავის დასასრულს პასუხი გაეცა კითხვებს – რა არის არჩევნებში მონაწილეობა? ეს უფლებაა თუ მოვალეობა? რატომ არ მიდის ხალხი არჩევნებზე? რატომ არის არჩევნებზე დაბალი აქტივობა?

პირველი თავის მესამე ქვეთავში – „ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო საზოგადოების არსი“ – ჯერ განმარტებულია ის, თუ რა იგულისხმება სამოქალაქო საზოგადოებაში, შემდგომ კი ამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქციები. ანუ, სამოქალაქო საზოგადოებაში იგულისხმება ის ორგანიზებული ჯგუფები და ინსტიტუტები, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფოსგან და მოიცავს არა მარტო არასამთავრობო ორგანი-

ზაციებს, არამედ დამოუკიდებელ მასმედიას, უნივერსიტეტებს, სოციალურ და რელიგიურ ჯგუფებსა და ა. შ. სამოქალაქო საზოგადოების პირველ და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას კი სახელმწიფო ძალაუფლების გარკვეული შეზღუდვა და კონტროლი წარმოადგენს.

სამოქალაქო საზოგადოებას სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც აკისრია, ისეთი, როგორცაა, საჯარო მოხელეების კორუფციული ქმედების გამოვლენა და კარგი მმართველობის რეფორმის ლობირება. არსებული ანტიკორუფციული კანონებისა და სპეციალური ორგანოების მუშაობაც კი, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე, ეფექტური ვერ იქნება.

საერთოდ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ცნება „სამოქალაქო საზოგადოება“ ხშირად იყო დებატების მთავარი თემა, ხოლო პოსტკომუნისტური მოძრაობების გააქტიურების შემდეგ, იგი განახლებული მნიშვნელობით მოგვევლინა პოლიტიკურ რეჟიმებთან ბრძოლის ერთ-ერთი იარაღის სახით. საუბარია არასამთავრობო, საზოგადოებრივ და არაკომერციულ ორგანიზაციებზე, რომლებიც მხოლოდ მოსახლეობის ინიციატივით იქნა შექმნილი და საკუთარ საქმიანობას ეწევიან სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობის გარეშე.

ასევე შემოთავაზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის აუცილებელი პირობების ჩამონათვალი და სხვადასხვა ქვეყანაში მათი დარეგისტრირებისა და მოქმედების კანონები.

ამავე ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საქართველოში ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს და აქედან უმეტესობა მხოლოდ ფორმალურადაა რეგისტრირებული, ხოლო მოქმედი ორგანიზაციების რიცხვი ბევრად დაბალია. ასევე მოცემულია კვლევის შედეგები, რომლის შედეგადაც მოსახლეობის უმეტესობის აზრით (გამოსახულია პროცენტებში), არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. აქვე ნაშრომი ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთქმედებას ქართულ პოლიტიკასთან, სადაც მათ რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ.

მეოთხე ქვეთავი მთლიანად ეძღვნება არასამთავრობო ორგანიზაციების როლსა და ფუნქციებს საარჩევნო პროცესებში. ასევე ჩამოთვლილია ის ეტაპები, რომლებსაც გადიან არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო პროცესში ჩართულობის დროს.

ნაშრომის მეორე თავი – „არჩევნების გაყალბების პრაქტიკა მსოფლიოში“ – შედგება ორი ქვეთავისაგან:

2.1. არჩევნების გაყალბების არსებული მეთოდები.

2.2. არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლის მეთოდები.

ამ თავში ზოგადად აღწერილია მსოფლიოში არსებული არჩევნების გაყალბების მეთოდებისა და ქმედებების მაგალითები, რომლებიც მიმართულია წესრიგის, საარჩევნო პროცესის, საარჩევნო ბიულეტენების მიღებისა და შევსების, არჩევნების შედეგების დათვლის, დამტკიცებისა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესების დარღვევისაკენ.

პირველ ქვეთავში მოცემულია არჩევნების გაყალბების ისეთი მეთოდები, როგორცაა: საარჩევნო კარუსელი, „მკვდარი სულები“, ბიულეტენების გაბათილება და მრავალი სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნები მათ ოფიციალურ გამოცხადებამდე ბევრად ადრე იწყება და, ძალიან ხშირად, მის შედეგებს ზუსტად ის მოვლენები განაპირობებს, რომლებიც საარჩევნო კომპანიის დაწყების ოფიციალურ გამოცხადებამდე მიმდინარეობს.

თანამედროვე საარჩევნო კანონმდებლობა გამოყოფს შესაბამისი პროცედურის შემდეგ ძირითად ეტაპებს: მომავალი არჩევნების თარიღის ოფიციალური გამოცხადება, კანდიდატების წარდგენა, ხელმოწერების შეგროვება, საარჩევნო კომისიების ფორმირება, წინასაარჩევნო აგიტაცია, ხმის მიცემის დღე, ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების შეჯამება. აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია საარჩევნო პროცესის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კანონით დადგენილ ნორმებს სცდება, ანუ საარჩევნო პროცესის დარღვევები, უფრო კონკრეტულად კი - გაყალბება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ქვეთავში ძირითადი ყურადღება გამახ-

ვილებულია გაყალბებასა და მის სახეობებზე. ზოგადად, გამოყოფენ გაყალბების ორ კატეგორიას – გაყალბება ცალკეულ ამომრჩეველთა ჩართულობის გარეშე და გაყალბება ამომრჩეველთა ჩართულობით.

პირველ შემთხვევაში გაყალბება ხდება მაშინ, როდესაც ამომრჩეველები მაქინაციებში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ, საარჩევნო ყუთები ყალბი ბიულეტენებით ივსება, არჩევნებში „მკვდარი სულები“ მონაწილეობდნენ და ა. შ.

გარდა ამისა, არჩევნების შედეგების გაყალბება ხდება რამდენიმე საშუალებით:

- დამატებითი ბიულეტენების ჩაყრა არჩევნებამდე;
- იმ ბიულეტენების გაფუჭება, რომლებშიც არასასურველი კანდიდატების სახელებია მონიშნული;
- გარკვეული რაოდენობის ბიულეტენების სხვა ბიულეტენებით შეცვლა, რომელშიც წინასწარ სასურველი კანდიდატის სახელია შემოხაზული;
- არასასურველი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების მოღება;
- „ვირტუალური“ დარღვევები;

ამომრჩეველთა ჩართულობით არჩევნების გაყალბების ტიპური მაგალითებია:

1. ხმების ყიდვა;
2. საარჩევნო კომისიის წევრების მიერ საკუთარი ნათესავებისთვის არგამოცხადებული პირების პასპორტებით ხმის ორჯერ ან მეტჯერ მიცემის უფლების მიცემა;
3. ამომრჩევლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და ორივე მისამართზე ხმის მიცემა;
4. ამომრჩევლისთვის „დახმარების“ გაწევა ამომრჩევლის სურვილის გაუთვალისწინებლად;
5. „საარჩევნო კარუსელი“.
6. ხმის მიცემა საპასპორტო მონაცემების გამოყენებით.

7. „ჯადოსნური ურნა“.

8. სახლში მომსახურების ბრიგადამ შეიძლება თან წაიღოს ბევრი ცარიელი ბიულეტენი და დაიწყოს მისამართების ჩამოვლა ზედმეტი ხმების შეგროვების მიზნით.

9. საარჩევნო კომისიის წევრებმა შეიძლება ამომრჩევლებს შესთავაზონ ბიულეტენები, რომლებსაც არც საარჩევნო კომისიის წევრების ხელმოწერები აქვთ და არც ბეჭედი აქვთ დასმული. მოგვიანებით აღნიშნული ბიულეტენები ბათილდება.

ამავე ქვეთავში აღწერილია და გაანალიზებულია აშშ-ში ჩატარებული 2016 წლის არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევები (გაყალბება) და დეტალურადაა გადმოცემული ამ არჩევნების დროს მომხდარი თითქმის ყველა წვრილმანი.

მეორე თავის შემდგომ ქვეთავში აღწერილია არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდი, რომელიც ნაცადია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

არჩევნების გაყალბების ცნება მოიცავს ფართო სპექტრის უკანონო ქმედებებს, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის შესახებ საბოლოო შედეგის შეცვლაზე.

არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების ასეთი მცდელობები შეიძლება ხდებოდეს სისტემურად ან ცალკეულ შემთხვევები, მაგრამ გამყალბებლები მუდმივად ცდილობენ გააუმჯობესონ შესრულების ტექნიკა.

ამ ქვეთავში წარმოდგენილია მაგალითები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეაჩეროს და აღმოფხვრას არჩევნების დროს გაყალბების მცდელობები. აქვე მოცემულია სხვადასხვა ექსპერტის მიერ არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ შემუშავებული და შეჯერებული მეთოდების გამოყენება, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. საარჩევნო კომისიების თავჯდომარეების სწორად შერჩევა;
2. გამჭვირვალე საარჩევნო ურნების არსებობა, რომელიც გაყალბებასთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემას აგვარებს;
3. ვიდეოკონტროლი და ვიდეოჩაწერა ერთ-ერთი დამხმარე

მექანიზმია არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლაში;

4. ბიულეტენებზე გრაფიკული კოდის დატანა, ჰოლოგრამის ან უნიკალური ფერის ბიულეტენების არსებობა;

5. არჩევნების შედეგების გაყალბებისათვის სასჯელის გამკაცრება;

6. ამომრჩევლის გაყალბების ფაქტზე წასწრების შემთხვევაში აუცილებელია გამკაცრდეს სასჯელი, ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევამდეც რომ მივიდეს საქმე.

7. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ფორმირების დემოკრატიული პროცედურა.

8. ერთ-ერთ უმთავრეს როლს არჩევნების პროცესში დამკვირვებლები ასრულებენ.

9. ეგზიტპოლების აღრიცხვა.

მსოფლიოს მასშტაბით, არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლის ზემოაღნიშნული მეთოდების ნაწილი დღესდღეობით უკვე მოქმედებაშია, ზოგიერთი მათგანი გაუმჯობესებას საჭიროებს (კარგად არ მუშაობს), ხოლო ზოგიერთი - ჯერჯერობით საერთოდ არ გამოიყენება. უმეტეს შემთხვევაში, ეს დაკავშირებულია დარღვევების იურიდიული კრიტერიუმების სუსტ დამუშავებასთან, ამომრჩეველთა სამართლებრივი კულტურის დაბალ დონესთან და არსებული სამართლებრივი მექანიზმების სირთულესთან. როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, პრაქტიკული თვალსაზრისით არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დღესდღეობით საკმაოდ დაბალეფექტიანია.

ნაშრომის მესამე თავი – „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესში“ – მოიცავს ორ ქვეთავს.

3.1. სამოქალაქო საზოგადოების როლი და მოვალეობა.

3.2. ჩატარებული კვლევები და გამოკითხვები.

ეს თავი ზოგადად მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოების საარჩევნო პროცესში ჩართულობის საკითხს, სამოქალაქო საზოგადოების როლსა და მოვალეობებს, სავალდებულო საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კვლევისა და გამოკითხვის შედეგებს. თავის ბოლოს კი

მოცემულია დოქტორანტის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

პირველი ქვეთავი, როგორც სათაური გვიჩვენებს, ეხება სამოქალაქო საზოგადოების როლსა და მოვალეობას.

1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღნიშნულია: „ხალხის ნება უნდა იყოს ხელისუფლების მთავარი ძალაუფლება; ეს უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, რომელიც უნდა ჩატარდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან კენჭისყრის თავისუფლების სხვა ეკვივალენტური ფორმებით“.

ამავე ქვეთავში თავდაპირველად სიტყვა „მოვალეობის“ მნიშვნელობა განმარტებული, ხოლო შემდგომ კი არჩევნებში სამოქალაქო საზოგადოების როლზეა გამახვილებული ყურადღება. აქვე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ არჩევნებში სავალდებულო ხმის მიცემა, როდესაც ყველა მოქალაქის რეგისტრაციისა და მონაწილეობის მიღების აუცილებლობა კანონითაა გათვალისწინებული, თანამედროვე დროის ერთ-ერთი ყველაზე პოლიტიკურად პოლარიზებული საკითხია. თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ მოსაზრებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს მათ კონსტიტუციურ უფლებას (თავისუფლებას) შეზღუდავს და ასევე არსებულ სისტემას დაამახინჯებს, პოლიტიკურად არაინფორმირებული და გაუნათლებელი ხალხის არჩევნებში ხმის მიცემის იძულებით. არიან ისეთებიც, რომლებიც კიცხავენ იმათ, ვინც შეგნებულად არიდებს თავს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის და ხმის მიცემის უფლების განხორციელებას, და ასევე იმ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღებას, თუ როგორი იქნება მათი ხელისუფლება.

ამავე ქვეთავში საუბარია იმაზე, თუ როგორ იცვლება საარჩევნო პროცესებში მონაწილეთა რაოდენობა ბოლო 50 წლის განმავლობაში და ეს ცვლილებები გრაფიკულად არის გამოსახული. გრაფიკული სურათია ნაჩვენები იმისიც თუ როგორია ამომრჩეველთა აქტივობა ევროპულ არჩევნებსა და სხვადასხვა ქვეყანაში (ლუქსემბურგში, ბელგიასა და გერმანიაში).

მესამე თავის მეორე ქვეთავი ეძღვნება კვლევას და მის შედეგებს. აღნიშნული კვლევის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების საარჩევნო პროცესში ჩართულობისა და სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების საკითხი. კვლევის არეალმა მოიცვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები მოქალაქეები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 327 რესპოდენტმა, რომელთა მასალები დამუშავდა და დისერტაციაში მეტი თვალსაჩინოებისათვის გადმოცემულია ცხრილებისა და დიაგრამების სახით. პირველად მოცემულია გამოკითხულთა სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა. ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენელთა სიჭარბეა (68%), ხოლო ასაკობრივად კი 41-50 და 51+ ასაკის მოსახლეობა აღმოჩნდა მობილური, შესაბამისად 30,9 და 15,0 პროცენტი, ხოლო ყველაზე აქტიური კი 31-40 წლის რესპოდენტები – 41,0 %. განათლების მხრივ კი უპირატესად მაგისტრატურა ან მასთან გათანაბრებული 5 წლიანი უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტები სჭარბობენ (51,7%). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა 40 წელს გადაცილებულია, შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ საბჭოთა კავშირის პერიოდში უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. ასევე საკმაოდაა ბაკალავრთა რაოდენობაც (23,9%). შემდგომ კი გამოკითხულები დასაქმების მიხედვითაა დაყოფილი. აქ კერძო სექტორში დასაქმებულები ჭარბობს (38,8%), კომერციული და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კი შესაბამისად – 2,4 და 8,6 %-ს შეადგენს.

ჩვენთვის საინტერესო შეკითხვაზე – რამდენად ხშირად დადიხართ არჩევნებზე? – პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ყოველთვის – 53,5%;
2. თითქმის ყოველთვის – 32,7%;
3. იშვიათად – 11,3%;
4. არასდროს – 2,4%.

შემდგომი კითხვას – ეთანხმები თუ არა იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა (ხმის მიცემა) მოქალაქის უფლებაა? – რესპოდენტთა 93,9% დადებითად პასუხობს, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას ყველა ადამიანის

მოქალაქეობრივ ვალად 79,8% თვლის. აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მონაწილეობის მოქალაქის უფლებასა და მოქალაქეობრივ ვალს შორის განსხვავება თითქმის 14 პროცენტია. გამოკითხულთა 45,9% არჩევნებში მონაწილეობას სავალდებულოდ მიიჩნევს, 39,1%-ს სავალდებულოდ არ მიაჩნია, ხოლო 15%-ს უჭირს პასუხის გაცემა. ამ მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არჩევნებში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი მომავალშიც შემცირდება.

რაც შეეხება იმას, თუ დასჯის რომელ მეთოდს მიანიჭებდნენ უპირატესობას, თუ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდებოდა, რესპონდენტთა 60,3%-მა სხვადასხვა ვარიანტი შეარჩია, მათ შორის: სიმბოლური ჯარიმა (20 ლარი) – 20%-მა, ფულადი ჯარიმა 100 ლარის ოდენობით – 6,5%-მა, საზღვრის კვეთის შეზღუდვა 6,7%-მა, სახელმწიფო სამსახურში დასაქმების შეზღუდვა 8,6%-მა, ხოლო საარჩევნო ხმის უფლების 2 წლით ჩამორთმევა 8,3%-მა. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან არც ერთს არ მიემხრო გამოკითხულთა 10,2%, ხოლო 39,7% საერთოდ წინააღმდეგია არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს.

იმის გასაგებად, რესპონდენტთა რა კატეგორია ემხრობა სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღებას ან/და ეწინააღმდეგება მას, გამოკითხულთა კორელაცია გაკეთდა ასაკის, განათლებისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით:

იმ 150 რესპონდენტიდან (45,9%), რომელიც ეთანხმება მოსაზრებას არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის შესახებ, 61,3%-ს აქვს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი და აქედან 68,6% დასაქმებულია საჯარო სექტორში, 12,6% კომერციულ სამიანობას ეწევა, 11,3% სხვა სფეროშია დასაქმებული, 4% არასამთავრობო სექტორშია, ხოლო 3,5% დროებით უმუშევარია. მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მქონე 61,3% დან 9,8% 21-30 ასაკობრივ კატეგორიაშია, 41,3% 41 წელზე მეტი წლისაა, ხოლო 48,9% 31დან 40 წლამდე ასაკისაა.

არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის მომხრეთაგან 22%-ს ბაკალავრის ხარისხი აქვს, აქედან 6% დროებით უმუშევარია, 18,4% კომერციულ

საქმიანობას ეწევა, 36,3% საჯარო სექტორშია, ხოლო 39,3% სხვა სფეროშია დასაქმებული. მათ შორის 57,5% 31-დან 40 წლამდე ასაკისაა, 24,2% 41-დან ზევით ასაკობრივ კატეგორიაშია, ხოლო 18% 18-დან 30 წლამდეა.

არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის მომხრეებიდან საშუალო, პროფესიული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები საერთო რაოდენობის 16,7% წარმოადგენენ და მათგან 16% დროებით უმუშევარია, 12% კომერციულ სფეროშია, 16% საჯაროში, ხოლო 56% სხვა საქმიანობას ეწევა. მათ შორის 12% 18-დან 30 წლამდე ასაკისაა, 20% - 31-დან 40 წლამდეა, ხოლო 68% 41 წლის ზევით ასაკობრივ კატეგორიაშია.

რაც შეეხება რესპონდენტების იმ 39,1%-ს, რომლებიც არ ეთანხმებიან არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის წესის შემოღებას, მათ უმრავლესობას (60,6%) მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მქონე პირები წარმოადგენენ, მათ შორის 3,8% დროებით უმუშევარია, 16,8% კომერციულ საქმიანობას ეწევა, 48,3% საჯარო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 31,1% სხვა საქმიანობაა დაკავებული. აქედან 9,2% 21-დან 30 წლამდე ასაკისაა, 40,2% 31-დან 40 წლამდეა, ხოლო 50,6% 41 წლიდან და ზევით ასაკობრივ კატეგორიაშია.

იმ 39,1%-დან ვინც ასევე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, 24,4% ბაკალავრის ხარისხი აქვს და მათ შორის 19,3% დროებით უმუშევარია, 29% კომერციულ საქმიანობას ეწევა, 22,7% საჯარო სამსახურშია, ხოლო 29% სხვა სფეროშია დასაქმებული. მათი ასაკობრივი დაყოფა შემდეგნაირად გამოიყურება: 12,9% - 21-30 წელი, 41,9% 31-40 ასაკისაა, ხოლო 45,2% 41 წლის და ზევით ასაკობრივ კატეგორიაშია.

დანარჩენი 14,9% საშუალო, პროფესიული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონეა და მათ შორის 15,7% დროებით უმუშევარია, 26,3% კომერციულ საქმიანობას ეწევა, 26,3% საჯარო სამსახურშია, ხოლო 31,7% სხვა სფეროშია დასაქმებული. მათგან 21% 21-30 ასაკობრივ ჯგუფშია 36,8% 31-დან 40 წლამდეა, ხოლო 42,2% 41 წლიდან ზევით ასაკისაა.

ზემოაღნიშნული კვლევის გარდა, არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის წესის შემოღებასთან დაკავშირებით ჩატარდა რამდენიმე

ინტერვიუ დარგის ექსპერტთან, რომელიც დისერტაციაში დანართის სახითაა მოცემული.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს მოცემულია ჩატარებული კვლევების, სხვადასხვა აზრის განხილვის, გარდამავალი პროცესების დეტალური გაცნობის, სამოქალაქო საზოგადოების, ფოკუს ჯგუფების გამოკითხვისა და დარგის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოტანილი დასკვნა საქართველოში სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების მიზანშეწონილობაზე. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოში სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოღების საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში (რაც ესოდენ მნიშვნელოვანია პოსტოციალიტურ ტრანსფორმაციაში მყოფი ახალგაზრდა არასტაბილური დემოკრატიის სტაბილიზაციისა და მდგრადობისთვის) არჩევნების როლის კვლევამ ცხადჰყო, რომ ტრადიციად ქცეულმა გაყალბებებმა (ან საზოგადოებაში დამკვიდრებულმა გაყალბების მოლოდინმა) არჩევნების მიმართ ნდობის განელება, შესაბამისად სამოქალაქო შეგნების და აქტივობის დაქვეითება, გამოიწვია. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შეფერხება განპირობებულია არჩევნების გაყალბებით (ან არჩევნების გაყალბების საზოგადოებაში დამკვიდრებული მოლოდინით).

კვლევამ ასევე გამოავლინა არჩევნების გაყალბების მეთოდების მრავალფეროვნება და გაყალბების პრევენციის ინსტრუმენტად საარჩევნო უფლების საყოველთაო რეალიზაცია წარმოაჩინა.

ნაშრომში წარმოდგენილი მრავალი ავტორის მოსაზრების, რიგ დემოკრატიულ, განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკისა და გამოკითხული რესპოდენტების ნაწილის შეხედულების თანახმად, საარჩევნო უფლებითა და საპატიო სამოქალაქო ვალდებულებით გარდაუვალი სარგებლობა საგრძნობლად ამცირებს გაყალბების შესაძლებლობასა და პროპორციას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების

შეხედულებისა და სიმპათიების უფრო ადეკვატურ ასახვას პარლამენტში. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას მოქალაქეებში, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ზრდას სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებში, საბოლოოდ კი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პარალელურად და ურთიერთდამოკიდებულად.

კვლევამ ასევე თვალნათლივ წარმოაჩინა იდეოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობაც და დამოკიდებულების განხვავებაც, კერძოდ:

ერთნი მიიჩნევენ, რომ პასიური ამომრჩეველი, რომელიც არ იყენებს თავის უფლებას, უიმედობის, ნიჰილიზმისა თუ უპასუხისმგებლობის გამო, და რომელიც ამგვარად ხელისუფლებას უადვილებს არჩევნების შედეგების გაყალბებას „ჩაყრის“ მეთოდით, არღვევს აქტიური სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ამომრჩევლის უფლებას;

მეორენი ამოსავალ წერტილად უფლებას მიიჩნევენ და თვლიან, რომ უფლება ავტომატურად გულისხმობს მისი გამოყენების ან არგამოყენების შესაძლებლობას, ხოლო ამომრჩევლის დავალდებულება გულისხმობს სწორედ აღნიშნული უფლების (ანუ აღნიშნული უფლებით სარგებლობის ან არ სარგებლობის) შეზღუდვას.

მესამენი პოლიტიკურ უფლებებს, მათ შორის საარჩევნო ხმის უფლებას, მიიჩნევენ პრივილეგიად, რომელსაც დამსახურება უნდა, თუმცა ამგვარი იდეები ლიბერალური დემოკრატიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეგზოტიკური და ფაშისტური რეპუტაციით სარგებლობს.

ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას აგრეთვე ექსპერტისა და პროფესიონალის დეფინიციის ირგვლივ:

ამერიკული მოდელით პროფესიონალად ითვლება ადამიანი, რომელიც გარკვეული საქმიანობით არის დაკავებული და აღნიშნულ საქმიანობაში ანაზღაურებას იღებს რეგულარულად; ექსპერტად კი - ადამიანი, რომლის ცხოვრებისეული და/ან პროფესიული გამოცდილებაც დაკავშირებულია მოცემულ საქმიანობასთან;

საბჭოთა მოდელით პროფესიონალად ითვლება ადამიანი, რომელიც

დაკავებულია საქმიანობით, რომელიც მითითებულია მის დიპლომში, ხოლო ექსპერტად შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია აქვს, და/ან შესაბამის დარგში მუშაობის გარკვეული სტაჟი/გამოცდილება, და აგრეთვე ადამიანი, რომლისთვისაც ესა თუ ის დარგი სპეციფიკური ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაგალითად ჰობის;

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევების მონაწილენი აღნიშნული ორი მოდელის გადაკვეთაში შესაძლოა შემდეგ კატეგორიებად დავეყოთ:

პირველი კატეგორია - ექსპერტები, რომლებიც განათლებითა და ინტელექტუალური შრომით დაკავშირებული არიან ნაშრომში წარმოდგენილ სფეროსთან, რომელთაგან სამმა მკვეთრად დაუჭირა მხარი, ხოლო ოთხმა - არა;

მეორე კატეგორია - პროფესიონალები, რომელთაც მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი აქვთ და მოცემულ სფეროში არიან დასაქმებულნი. ამგვარი 327 რესპოდენტიდან იყო 201, რომელთაგან 65-მა დაუჭირა მხარი სავალდებულო არჩევნების იდეას, რამაც 32% შეადგინა;

მესამე კატეგორია - მოქალაქეები, რომელთაც აქვთ საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი (ბაკალავრიატი) განათლება, მუშაობენ სხვადასხვა სფეროში ან არ არიან დასაქმებულნი. მათი რაოდენობა 126 ადამიანს შეადგენდა, რომელთაგან სავალდებულო არჩევნების იდეას 61 რესპოდენტმა ანუ 48%-მა დაუჭირა მხარი;

ჯამში, სპეციალური პროგრამის, „გუგლ-გამოკითხვის“ მეშვეობით გამოკითხული ყველა კატეგორიის 327 რესპოდენტიდან სავალდებულო არჩევნებს 45.5%-მა დაუჭირა მხარი, თუმცა, როგორც ზემოჩამოთვლილი მონაცემებიდან იკვეთება, განათლების, პროფესიონალიზმისა და ექსპერტული კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად, მხარდაჭერა კლებულობს. უფრო მეტიც, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში, საზოგადოებაში მსგავს იდეას თუმცა კი აქვს საკმაოდ მაღალი მხარდაჭერა და გამოკითხულთა უმეტესობა უჭერს მხარს, მაგრამ ეს მაინც არაა უმრავლესობა,

ამდენად:

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

განვითარებადი, გარდამავალი (ახალგაზრდა დემოკრატიები) და დემოკრატიული ქვეყნების აღნიშნული გამოცდილების გასაზიარებლად და სავალდებულო საარჩევნო სისტემის შემოსაღებად საჭირო იქნება საკმაოდ ძლიერი ახსნა-განმარტებითი მუშაობა საზოგადოებასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, შემდეგ კი - რთული ხანგრძლივი პროცედურების გავლა. საკუთრივ აღნიშნული პროცესიც შესაძლოა ერთ-ერთი მძლავრი სტიმული იყოს საქართველოში საზოგადოებრივი დისკუსიის გამოცოცხლებისა და ამდენად სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებისათვის. რამაც, საბოლოოდ შესაძლოა ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, საარჩევნო სისტემის დახვეწას და პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობის ზრდას, ანუ საბოლოოდ დააჩქაროს დემოკრატიული ტრანსფორმაცია და ახალგაზრდა ქართულ დემოკრატია პოლიტიკური სტაბილურობა და მდგრადობა შესძინოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი ფართო მეცნიერული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანია, რომლის მიღწევა, მიღებული გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად, საბოლოოდ პოზიტიურ შედეგს გამოიღებს.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი.

კოლოკვიუმები:

1. „არჩევნების გაყალბების სქემები“;
2. „ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო საზოგადოების გავლენა საარჩევნო პროცესზე“;
3. „საარჩევნო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობის პრინციპი და მაგალითები“.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში:

სტატიები:

2. „არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის სისტემის შემოღება საქართველოში“, სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ თბილისი, საქართველო, 1(49) 2019, ტომი I.
3. „სოციუმის რეაგირება არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის პრინციპზე“, სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ თბილისი, საქართველო, 1(49) 2019, ტომი II.
4. „არჩევნების გაყალბების გზები“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ თბილისი, საქართველო, 1(49) 2019, ტომი II.

კონფერენციები:

1. მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ხელისუფლება და საზოგადოება", თბილისი, საქართველო, 2017.

მოხსენება: „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესში“.

2. საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს პარლამენტარიზმი - 100“, 2019 წელი. „საარჩევნო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობის პრინციპი და მაგალითები“.